



დამოუკიდებელი ინსპექტორის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2024 წლის 22 აპრილი

დისციპლინური საქმე №50/24

მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

--- წარმომადგენლის --- 2024 წლის 28 მარტის №50 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2024 წლის 2 აპრილის №161/50-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ მიიღო უკანონო განჩინება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2021 წლის 30 დეკემბერს --- სარჩელით მიმართა --- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის --- მიმართ, უკანონო ხელშეშლის აღკვეთის, შენობის დემონტაჟისა და თანხის დაკისრების მოთხოვნით (--- ლარი).

2022 წლის 24 თებერვალს, მოპასუხე --- წარადგინა შესაგებელი.

--- საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 30 ნოემბრის განჩინებით, მოსამართლემ დანიშნა ექსპერტიზა.

2023 წლის 5 დეკემბრის განჩინებით, განახლდა სამოქალაქო საქმის წარმოება --- სარჩელისა გამო, მოპასუხე --- მიმართ და 2024 წლის 05 მარტს დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა.

--- საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 5 მარტის განჩინებით მოსამართლემ კვლავ დანიშნა დამატებითი ექსპერტიზა და შეაჩერა საქმის განხილვა.

ამ ეტაპისათვის საქმის განხილვა შეჩერებულია.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მოსამართლეს, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს ზემდგომ ინსტანციას და შესაბამისად, ვერც მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას შეაფასებს. დისციპლინური წარმოების ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ დისციპლინური გადაცდომების შესახებ არსებული სავარაუდო ფაქტების შეფასება და ის ვერ შეცვლის მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის ანგარიშის შესაბამისად (CommDH(2012)10, 23.02.2012) „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“.¹

დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორი არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის თანახმად, „თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება“.

¹ ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80

ამდენად, მოსამართლე -- --, 2024 წლის 5 მარტის განჩინების მიღებისას, მოქმედებდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში და კონკრეტული საკითხების შეფასება მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მის კანონიერებაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. -- -- წარმომადგენლის -- -- 2024 წლის 28 მარტის №50 საჩივარზე მოსამართლე -- -- მიმართ, შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება, განჩინების კანონიერების ნაწილში.

2. -- -- წარმომადგენლის -- -- 2024 წლის 28 მარტის №50 საჩივარზე მოსამართლე -- -- მიმართ გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული სხვა გადაცდომების შესაძლო ჩადენის ფაქტზე.

შოთა ქადაგიძე

დამოუკიდებელი ინსპექტორი